ფეხბურთი

გუშინ, 13 ივნისს, თბილისის ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის "დინამოსა" და სტალინოს "შახტიორის" გუნდები.

პირველ ტაიმში ორივე გუნდი უფერულად და უსისტემოდ თამაშობდა. თავდამსხმელები არც კი ცდილობდნენ მოფიქრებული კომბინაცია გაეთამაშებინათ. ისინი იმედებს ამყარებდნენ ცალკეულ გარღვევებზე. თბილისელთა დაცვის ხაზიც არ იყო მტკიცე. ნაადრევად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ფეხბურთელების რუსაძისა და გოგლიძის ერთდროულად გამოყვანა. ამის გამო, პირველხარისხოვან ნახევარმცველს პანიუკოვს თამაში ძირითადად დაცვაში მოუხდა. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა 24-ე წუთზე. 5 წუთის შემდეგ ანთაძემ საპასუხო ბურთი გაიტანა "შახტიორის" კარში. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

მეორე ტაიმში თბილისელებმა თავდამსხმელთა რიგები გადაახალისეს, პასიურად მოთამაშე ჯოჯუას ნაცვლად გამოიყვანეს ვარდიმიადი. ამან რამდენადმე გამოაცოცხლა თამაში და მეორე ტაიმში ინიციატივა ძირითადად დინამოელთა ხელში იყო, თუმცა 30-ე წუთამდე ანგარიში უცვლელი დარჩა. 31-ე წუთზე ვარდიმიადიმ თავური გარტყმით მეორე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში. 2 წუთით ადრე მატჩის დამთავრებამდე მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა ანთაძე და კართან ახლოს ბურთი მიაწოდა ვარდიმიადის. ამ უკანასკნელმა მესამედ შეარხია "შახტიორის" კარის ბადე.

მატჩი მოიგო თბილისის "დინამომ" ანგარიშით 3:1.

მატჩს ძალიან ცუდად, არაობიექტიურად სჯიდა ლენინგრადელი მსაჯი ი. კურენკოვი.

ამრიგად, 14 ივნისისათვის გათამაშებაში პირველ ადგილზე მოდის კუიბიშევის "კრილია სოვეტოვი" – 20 ქულა (13 მატჩიდან), მეორე ადგილზე – თბილისის "დინამო" – 19 ქულა (14 მატჩიდან) და მესამეზე – ლენინგრადის "ზენიტი" – 18 ქულა (12 მატჩიდან).

"კომუნისტი", 14 ივნისი 1950 წ.